

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

ნიკოლოზ კოპალეიშვილი
Nikoloz Kopaleishvili

ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიური ანთროპოლოგია
Philosophical Anthropology of St. Augustine

საგანმანათლებლო პროგრამა: ქრისტიანული ფილოსოფია
Educational program: Christian Philosophy

ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

ავტორეფერატი

ფოთი
2022

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე**,
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის
ვებ-გვერდზე: www.ngu.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო კომისიის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ახალი საქართველოს უნივერსი-
ტეტის ბიბლიოთეკაში (ქ. ფოთი, გურიის ქუჩა № 1).

სარჩევი

საკვლევო პრობლემატიკა და მისი აქტუალობა _____	4
კვლევის მიზანი _____	6
კვლევის ამოცანები _____	8
კვლევის ჰიპოთეზა _____	9
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი _____	10
მეთოდოლოგია _____	11
კვლევის შედეგების აღწერა _____	12
ნაშრომის მეცნიერული სიახლე _____	13
დასკვნა _____	15

საკვლევი პრობლემატიკა და მისი აქტუალობა

ნეტარი ავგუსტინე ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო და გავლენიანი ფიგურაა. მის ნააზრევში, ერთი მხრივ, ანტიკური ფილოსოფიის ნაყოფიერ რეცეფციასა და ტრანსფორმაციას, კერძოდ, მის სინთეზს ვხვდებით ქრისტიანულ მოძღვრებასთან; მეორეს მხრივ კი ძალზედ ფართოა ის სააზროვნო ჰორიზონტი, რომელიც ავგუსტინეს ფილოსოფიის გავლენის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ტრადიციას მოხაზავს. ამის საფუძველზე ავგუსტინე შეიძლება მივიჩნიოთ დასავლური აზროვნების პარადიგმატულ ავტორად, წარსულისა და აწმყოს გამაერთიანებელ მოაზროვნედ. მის ფილოსოფიაში თავმოყრილია გვიანანტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები, თავისებურებები, ნიუანსები. ამასთან, ავგუსტინეს აზროვნება სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლებსა და რელიგიურ მიმდინარეობებს შორის ვითარდებოდა. აქ საკმარისია რამდენიმე მათგანის დასახელება (პლატონიზმი, არისტოტელიზმი, ციცერონის ფილოსოფია, სკეპტიციზმი, ასევე, მანიქეველთა მოძღვრება, პელაგიანიზმი, დონატიზმი), რათა ავგუსტინეს ნააზრევის ვრცელი არეალის დადგენა და წარმოჩენა მოხდეს.

ნეტარი ავგუსტინე მთელი ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვანი ფიგურაა, რაც, თუნდაც, იმ ფაქტით ჩანს, რომ V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იგი ეკლესიის ავტორიტეტულ მამად იქნა სახელდებული. კრების ოქმებში იგი ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ათანასე დიდის და სხვათა გვერდით მოიხსენიება. შესაბამისად, ავგუსტინეს ნააზრევი 1054 წლის განხეთქილების შემდგომაც ყოველმხრივ ინარჩუნებს აქტუალობას მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. ქრისტიანული რელიგია, უმეტესწილად, აქტიურ როლს თამაშობდა და ცხოველ ინტერესს იწვევდა საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების კონტექსტში, რის საფუძველზეც ავგუსტინეს, როგორც ქრისტიანი მოაზროვნის ფილოსოფიაც, მისი საერთო ქრისტიანული ღირებულების გამო, ფილოსოფიის სამყაროში დღესაც დიდი დაინტერესების საგანს წარმოადგენს.

ნეტარი ავგუსტინეს ნააზრევში ვხვდებით ანტიკურობის საუკეთესო წარმომადგენლების (პითაგორას, პლატონის, არისტოტელეს, პლოტინის, პორფირიოსის და სხვათა) მოსაზრებების ინტერპრეტაციას. განსაკუთრებით საინტერესოა ავგუსტინეს მიერ ანტიკური ფილოსოფიის ანალიზი/შეჯამება. ზოგჯერ ის ანტიკური ფილოსოფიის

ისტორიკოსადაც კი გვევლინება. მისი მოღვაწეობის პერიოდიდან გამომდინარე, იგი შეგვიძლია მივიჩნიოთ ანტიკურობისა და შუა საუკუნეების გზაგასაყარზე მყოფ მოაზროვნედ და ანტიკურობის ქრისტიან შემფასებლად.

გარდა ამისა, ნეტარი ავგუსტინე არის ახალი ეპოქის მესამირკველც. მას ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა შეგვიძლია ვუწოდოთ. მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ შუა საუკუნეების ისეთი მოაზროვნეები, როგორებიცაა ანსელმ კენტერბერიელი, თომა აქვინელი, იოანე დუნს სკოტი და სხვ. დიდია ავგუსტინეს ფილოსოფიის გავლენა ახალი დროის აზროვნებაზეც. ამის მაგალითად რენე დეკარტისა და იმანუელ კანტის ფილოსოფიათა დასახელებაც კი საკმარისია. ავგუსტინეს გავლენის ქვეშ იყვნენ სიორენ კირკეგორი და ლუდვიგ ვიტგენშტაინი; XX საუკუნეში მის მიმართ ასევე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ მარტინ ჰაიდეგერი (განსაკუთრებით, რელიგიის ფენომენოლოგიის კვლევისას) და მისი სკოლის წარმომადგენლები. საყურადღებოა XXI საუკუნეში ავგუსტინეს ფილოსოფიის ანალიზი ქრისტიანული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების (ალვინ პლანტინგა, რიჩარდ სუინბარნი და სხვ.) მხრიდანაც.

ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი ანთროპოლოგიური შეხედულებები. ჰიპონის ეპისკოპოსის ნააზრევის ქრისტიანული ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანი, როგორც შესაქმის გვირგვინი, შეიძლება ცენტრალურ კატეგორიადაც კი იქნეს აღქმული მის ფილოსოფიაში. ეს კატეგორია აერთიანებს ავგუსტინესეული ფილოსოფიის სხვადასხვა კონცეპტებს. შესაბამისად, ავგუსტინეს ანთროპოლოგიის კვლევა საშუალებას მოგვცემს ჩავწვდეთ ამ დიდი მოაზროვნის ფილოსოფიის ძირითად ასპექტებს. ამასთანავე, მისი შესწავლა ანტიკური ფილოსოფიის ანთროპოლოგიური კონცეფციების საფუძვლიანი წვდომისკენ გვიხსნის გზას და, ასევე, წარმოდგენს გვიქმნის დასავლურ ფილოსოფიაში მოგვიანებით დამუშავებულ სხვადასხვა ანთროპოლოგიურ საკითხებზეც. ამგვარად, მისი შესწავლა მნიშვნელოვანია ევროპული ფილოსოფიის სპეციფიკის მრავალი ასპექტის გასაცნობიერებლად. სადოქტორო ნაშრომში შევეცადეთ ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ისეთ ჭრილში განხილვას, სადაც ცხადად იქნება ნაჩვენები მისი ნააზრევის მთავარი ანთროპოლოგიური კატეგორიების რელევანტურობა თანამედროვეობაშიც. კვლევაში წარმოდგენილი საკითხები ცხადად წარმოაჩენს ადამიანის ისეთ

მახასიათებლებს, რომლებიც ყოველთვის აქტუალურია. მიუხედავად განვითარების სხვადასხვა საფეხურებისა, ადამიანი, როგორც მოაზროვნე, თავისუფალი, *სხვასთან* მიმართებაში მყოფი არსება, იგივედ გვევლინება ყველა ეპოქაში. ეს თეზისი ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია.

აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევა სიღრმისეულად ჩაგვახედებს ქრისტიანული რელიგიის არსში და, ასევე, ფუნდამენტურად გაგვაცნობს ქრისტიანული ფილოსოფიის საწყისისეულ პრინციპებს. გარდა ამისა, ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ავგუსტინეს ფილოსოფიის კონკრეტული მიმართულება – ანთროპოლოგია. სწორედ ანთროპოლოგიაა ის დარგი, რომლის მიმართაც ცხოველი ინტერესი არსებობს ყველა ეპოქაში. ფილოსოფია ზოგადად ადამიანური აქტივობაა და ფილოსოფიაზე მსჯელობისას უპირველეს საკითხს სწორედ ადამიანი წარმოადგენს; შესაბამისად, ანთროპოლოგია, რომელიც ადამიანის შესახებ მოძღვრებაა, მანამდე შეინარჩუნებს თავის აქტუალობას, ვიდრე იარსებებს ადამიანი და ფილოსოფია. ზემოთქმული ასპექტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ავგუსტინეს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კვლევა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და დღესაც აქტუალურია.

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ანთროპოლოგიური სწავლების წარმოჩენა. ავგუსტინეს შემოქმედება მრავალფეროვანია როგორც თემატურად, ისე კონკრეტულ საკითხებზე გამოთქმული განსხვავებული შეხედულებებითაც. ამის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი ნეტარი ავგუსტინეს აზროვნებაში. მაგალითად, ადრეული პერიოდის თხზულებები გაჯერებულია პლატონური ფილოსოფიის ელემენტებით, რაც ერთგვარ ქრისტიანულ პლატონიზმს ქმნის. შემდგომ პერიოდში კი ავგუსტინეს აზროვნება მკაცრად დოგმატურია. საინტერესოა ავგუსტინეს ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი *Retractationes* (*გადააზრება*), სადაც იგი მთელ მის შემოქმედებას აჯამებს და ცდილობს რიგ საკითხებში მეტი სიცხადე შეიტანოს. ამით, შეიძლება ითქვას, ავგუსტინე თავადვე აღიარებს ერთგვარ ორაზ-

როვნებას თავის შემოქმედებაში. მიუხედავად ამ ნაშრომში არსებული მოკლე მითითებებისა, ის წარმოადგენს ავგუსტინეს შემოქმედების შეფასებასა და აწონ-დაწონვას, ამავდროულად კი ადამიანური ყოფის საჭირობოროტო საკითხებზე საბოლოო პასუხების მოძიების მცდელობასაც. ავგუსტინე, როგორც ჩანს, თავადვე აღიქვამდა თავის შემოქმედებას როგორც „მრავალი ავტორის“ მიერ დაწერილს. ხატონად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავგუსტინეს უზარმაზარი ფილოსოფიური მემკვიდრეობა „რამდენიმე ავტორს“, „რამდენიმე ავგუსტინეს“ ეკუთვნის. შესაბამისად, ეს ართულებს მისი შემოქმედების მთლიანობაში აღქმას. თუმცა, მისი ანთროპოლოგია იმის საშუალებას მოგვცემს, რომ შევძლოთ ავგუსტინეს სხვადასხვა პერიოდის შემოქმედების ერთი კონცეფციის ირგვლივ გაერთიანება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გამოვვეყო ის ძირითადი ანთროპოლოგიური ასპექტები, რომლებიც საერთოა ავგუსტინეს აზროვნების ყველა პერიოდისთვის. ამ საკითხში ადამიანის, როგორც ღმერთის ქმნილების კონცეფციას დავეფუძნეთ – ავგუსტინეს ანთროპოლოგიისთვის ამოსავალ წერტილს შესაქმის ბიბლიური ვერსია წარმოადგენს. შესაბამისად, ქმნილება-შემოქმედის მიმართება დაისახა იმ გამაერთიანებელ ფაქტორად, რომლის ქვეშაც მოიაზრება ავგუსტინეს განსხვავებული შეხედულებები, თუნდაც, ადამიანის თავისუფალი ნების შესახებ. ამასთან, ადამიანი ავგუსტინესთვის არის არსი, რომელიც თავისი უნარებით უცვლელია მთელი ისტორიის მანძილზე (ცხადია, მაცხოვრის განკაცება წარმოადგენს გარღვევას ისტორიაში, რომელიც ადამიანს აძლევს მთელ რიგ შესაძლებლობებს, რომლებიც მან ცოდვით დაცემის შემდგომ დაკარგა). აქედან გამომდინარე, ავგუსტინეს კონცეფცია ადამიანის შესახებ მიზნად ისახავს უნივერსალური ანთროპოლოგიური მოდელის შექმნას, რომელიც თავის ამოცანებს ყველა ეპოქაში განახორციელებს. სწორედ ამის საფუძველზე ვცდილობთ თანამედროვე ეპოქაში ავგუსტინეს ფილოსოფიის აქტუალობის წარმოჩენასაც.

ამრიგად, მოცემული კვლევის მიზანს ავგუსტინეს მრავალფეროვანი შემოქმედებიდან ძირითადი ანთროპოლოგიური კატეგორიების იმგვარი განხილვა-ანალიზი და სისტემატიზება წარმოადგენს, რაც საშუალებას მოგვცემს მთლიანობაში ვწვდეთ, ერთი მხრივ, ავგუსტინეს ფილოსოფიაში წარმოდგენილ „ანთროპოლოგიურ მუდმივებს“ და, მეორე მხრივ, მისი აზროვნების განვითარების პროცესსაც გავადევნოთ თვალი. გარდა ამისა, წინამდებარე სადოქტორო კვლევის მიზანია

ადამიანის შესახებ ავგუსტინესეული მოძღვრების მნიშვნელობის წარმოჩენა თანამედროვეობაში, რაც ქრისტიანული მოძღვრების განსაკუთრებულ როლსაც აჩვენებს თანამედროვე ადამიანის უმწვავესი გამოწვევების ფონზე.

კვლევის ამოცანები

მოცემული კვლევის მიზნების განსახორციელებლად რამდენიმე ამოცანა იქნა დასახული და შესრულებული: 1. უპირველეს ყოვლისა, მოხდა ნეტარი ავგუსტინეს მრავალრიცხოვანი ნაშრომების შესწავლა/დამუშავება და მათში ანთროპოლოგიური იდეების ხაზგასმა, შემდგომ კი ამ იდეების დაჯგუფება/კლასიფიკაცია, რის საფუძველზეც ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ერთიანი მოდელის შესახებ საუბრის შესაძლებლობა მოგვეცა; 2. მოხდა იმ მთავარი წყაროების წარმოჩენა, რომელთა გავლენასაც განიცდიდა ავგუსტინე. ამის საფუძველზე დადგინდა ავგუსტინეს ანთროპოლოგიის არაერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი; 3. მოხდა ავგუსტინეს ანთროპოლოგიის შემდგომი ინტერპრეტაციისა და გავლენების გააზრება, რამაც შესაძლებელი გახადა ამ მოაზროვნის ერთიან ფილოსოფიურ სისტემაში წარმოდგენა; 4. ცხადია, ყოველივე ზემოთქმულის განხორციელებას საფუძველად დაედო ავგუსტინეს ნააზრევის შესახებ სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის შესწავლა/დამუშავება. ამგვარი ლიტერატურის მრავალრიცხოვნიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იქნა მიღებული ავგუსტინეს ანთროპოლოგიის შესახებ არსებული უახლესი ავტორიტეტული სამეცნიერო ნაშრომები. მოცემული ამოცანების დაძლევის შემდგომ წარმოვაჩინეთ ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სპეციფიკა, რომლის ინტერპრეტაცია მოხდა ნაშრომში წამოყენებული ჰიპოთეზის საფუძველზე.

კვლევის ჰიპოთეზა

ნეტარი ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ჩვენეული ანალიზის თანახმად, ადამიანი მრავალი არსებითი თვისების/მახასიათებლისა და უნარის მატარებელია, ყოველივე ეს კი ერთიანდება შემოქმედთან – ღმერთთან – კავშირში. საბოლოოდ, ადამიანის ყველა მიმართება და აქტივობა ავგუსტინესთან დაიყვანება ადამიანის ღმერთთან მიმართებაზე, დამოკიდებულებაზე. სადოქტორო ნაშრომში იმის ჩვენებას შევეცადეთ, რომ ადამიანში არსებით მომენტს წარმოადგენს თავის შემოქმედთან ბმა, მჭიდრო კავშირი. ზოგადად, ქმნილება მეტყველებს თავის შემოქმედზე, თუმცა, ადამიანის შემთხვევაში ამას კიდევ უფრო მეტად კომპლექსური სახე აქვს. ადამიანი არის სპეციფიკური მიმართებების მქონე არსება და ეს მიმართებები მისთვის უნიკალურია. მაგალითისთვის, ასეთია სიყვარული. ამას პირობითად „ცნობიერი მიმართება“ შეგვიძლია ვუწოდოთ. შემოქმედზე ყველა ქმნილება მიუთითებს, ადამიანის შემთხვევაში კი ამას ემატება ცნობიერი აქტივობა. ადამიანს აქვს ყოფნა, სიცოცხლე და აზროვნება და სამივე მათგანის საფუძველზე ის მიმართებაშია ღმერთთან. ადამიანის მიზანი, როგორც ანთროპოლოგიური კატეგორია, დაკავშირებულია მის შემოქმედთან. მხოლოდ ღმერთთან მართებული მიმართების საფუძველზე ხორციელდება ადამიანი, როგორც ასეთი. ადამიანში თითქოს ორი არსი იკითხება: ერთი თავად ის (ადამიანი) და მეორე მისი შემოქმედი (ღმერთი). ეს ავგუსტინესეული კონცეფცია ეგზისტენციალიზმის ცალკეული მიმართულებების საფუძვლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ: ადამიანის არსი ყალიბდება მისი მიმართებების საფუძველზე! ამგვარად, მოცემულ ნაშრომში განხილულია ღმერთთან მიმართებაში მყოფი ადამიანის ავგუსტინესეული ანთროპოლოგიური მოდელი. ადამიანი, როგორც ასეთი, არ არის თავისთავად განწყენებული არსი, მასში იკითხება ღმერთთან კავშირიც.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

დღესდღეობით, ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომების მრავალი აკადემიური გამოცემაა ხელმისაწვდომი. არსებობს ავგუსტინეს თხზულებათა ორიგინალური – ლათინურენოვანი – ვერსიების რამდენიმე აკადემიური რედაქცია (მისი თხზულებები ხელმისაწვდომია ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ აკადემიურ პორტალებზეც). ავგუსტინეს ნაშრომები მრავალ უცხო ენაზეა თარგმნილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავგუსტინეს ნაშრომთა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური და რუსული თარგმანები. ავგუსტინეს რამდენიმე თხზულება თარგმნილია ქართულ ენაზეც.

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურას ნეტარი ავგუსტინეს ფილოსოფიის შესახებ, ფაქტობრივად, ის თითქმის ყველა ენაზე მოგვეპოვება. გამომდინარე ავგუსტინეს ნააზრევის ვრცელი თემატიკიდან, ეს ნაშრომები სხვადასხვა ფილოსოფიური დარგის (ონტოლოგიის, ეპისტემოლოგიის, ეთიკისა და სხვ.) ჭრილშია შესრულებული. მათ შორისაა ანთროპოლოგიურ თემატიკაზე შესრულებული კვლევებიც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ, უმეტესწილად, ეს ნაშრომები საკუთრივ ანთროპოლოგიის მთლიანობაში კვლევას კი არა, არამედ ერთი რომელიმე კონკრეტული ანთროპოლოგიური საკითხის სხვადასხვა ჭრილში წარმოჩენას ემსახურება. ამასთანავე, ავგუსტინეს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ზოგიერთი წახნაგის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია თეოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევებიც ავგუსტინეს ნააზრევის შესახებ, რომლებიც ასევე მრავლადაა.

რაც შეეხება ავგუსტინეს კვლევის ქართულ ტრადიციას, აქ, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთეული შემთხვევების ჩამოთვლა შეიძლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი საქართველოს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო კრებული *ნეტარი ავგუსტინე – ქრისტიანობის მასწავლებელი* (კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემამე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2017. 252 გვ.). ამ კრებულში ყურადღება ეთმობა ავგუსტინესთან ანთროპოლოგიურ პრობლემებსაც. ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურიდან ასევე შეგვიძლია მოვიხმოთ ისტორიული კვლევები შუა საუკუნეების ფილოსოფიის შესახებ, რომლებშიც ავგუსტინეს შემოქმე-

დების არაერთი აქტუალური საკითხის დახასიათება და განხილვაა მოცემული.

წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ კვლევებს, რომლებიც ავგუსტინეს ანთროპოლოგიურ იდეებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ჰარმონიასა და მიზანმიმართულობას, რომელიც ადამიანში მის შემოქმედზე მიუთითებს, რასაც, პირობითად, „ტელეოლოგიური ანთროპოლოგია“ შეგვიძლია ვუწოდოთ. მსგავს შრომებში საგანგებო ყურადღება ეთმობა ადამიანის, როგორც ქმნილების დანიშნულებას, თავის შემოქმედთან დამოკიდებულებაში რომ მდგომარეობს. სწორედ მოცემული მასალების დამუშავების საფუძველზე მოხდა ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემატიკის ჩამოყალიბება და დასაბუთება.

მეთოდოლოგია

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილია არაერთი მეთოდოლოგიური მიდგომა, მათ შორის, ჰერმენევტიკული, ინტერდისციპლინური, კომპარატივისტული, ისტორიული და სხვა ტიპის კვლევითი მიდგომები. უმეტესწილად, ნაშრომში კვლევისას გამოყენებულია ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ხერხები, რომელთა მეშვეობით ვცადეთ დაგვედგინა ავგუსტინეს ტექსტების იმანენტური საზრისი, რის საფუძველზეც გამოვკვეთეთ ამ ავტორის მრავალფეროვანი ფილოსოფიის ჩვენთვის საინტერესო საკითხის ერთიანი მოდელი; ჩვენ მიერ განხორციელდა ავგუსტინეს ფილოსოფიის ორიგინალური ინტერპრეტაციაც, რამაც საშუალება მოგვცა ერთი კონცეფციის ქვეშ გაგვეერთიანებინა სხვადასხვა ნაშრომებში გაბნეული ანთროპოლოგიური განაზრებები. ამასთანავე, სადოქტორო ნაშრომში ვხვდებით ქრისტიანული ფილოსოფიის იდეათა განხილვას ქრისტიანული ფსიქოლოგიისა და ქრისტიანული თეოლოგიის ჭრილში, რაც ამ ნაშრომის ინტერდისციპლინურ მიდგომას უსვამს ხაზს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ავგუსტინეს ნააზრევის კომპარატივისტული ანალიზი, რაც სადოქტორო ნაშრომში გამოვლინდა ავგუსტინეს ფილოსოფიის, ერთი მხრივ, მის წინამორბედ (პლატონი, პლოტინი და სხვ.) ან შემდგომ ფილოსოფოსთა (დეკარტი, კანტი და სხვ.) განაზრებებთან,

მეორე მხრივ კი ქრისტიანული ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლების ნააზრევთან (მაგალითად, გრიგოლ ნოსელი) შედარებაში. ნაშრომში, ასევე, ავგუსტინეს თანამედროვე ეპოქის და მასში განვითარებული მოვლენების გათვალისწინების ფონზე კვლევის ისტორიულ მეთოდზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

კვლევის შედეგების აღწერა

განხორციელებული კვლევის საფუძველზე საშუალება მოგვეცა თვალი მიგვედევნებინა ანტიკურობასა და შუა საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე დიდი მოაზროვნის – ნეტარი ავგუსტინეს ანთროპოლოგიის განვითარებაზე, მის მთავარ კატეგორიებზე და იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ავგუსტინესეული ანთროპოლოგია დღემდე ატარებს. კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარმოებდა, მათ შორის, ავგუსტინეს ეგზეგეტიკის, ადრეული პერიოდის პლატონური ფილოსოფიის და შედარებით გვიანდელი, მეტად დოგმატური ნააზრევის განხილვის კუთხით. ამის საფუძველზე მოცემული ნაშრომის მეშვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ავგუსტინეს ფილოსოფიის სხვადასხვა წახნაგებზე: უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ აქ ცხადი ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ავგუსტინესეული ანთროპოლოგიის როლი ქრისტიანული ფილოსოფიის, როგორც ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთი კომპლექსური ფენომენის დასაბუთებული ფორმით წარმოდგენის საქმეში. ქრისტიანული, გამოცხადებისეული დოქტრინების კლასიკურ ფილოსოფიურ კონცეპტებთან დაკავშირება საშუალებას იძლევა ქრისტიანული ფილოსოფიის არსის წვდომისთვის. ამასთანავე, კვლევის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ის, რომ ქრისტიანული ანთროპოლოგია, რა ფორმითაც ის ავგუსტინესთანაა წარმოდგენილი, გვთავაზობს ე.წ. „ანთროპოლოგიურ მუდმივებს“, რომლებიც მიუხედავად ისტორიული კონტექსტისა, ადამიანის კულტურული მიკუთვნებულობისა და განვითარების დონისა, ინარჩუნებენ აქტუალობას და ადამიანის იმ „მარადიულ“ მახასიათებლებს გვთავაზობენ, რომლებიც ქრისტიანული სწავლების ფილოსოფიური ფორმით დამტკიცებულ ნაწილებს წარმოადგენენ. ამის საფუძველზე კვლევის შედეგს წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრების მნიშვნელობის ჩვენება ყოველი ისტორიული მონაკვეთის, მათ შორის, თანამედროვეობის კონტექსტში.

ამასთანავე, კვლევის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ისიც, რომ ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ჩვენეული ინტერპრეტაციის საფუძველზე საშუალება გვებძლევს ქრისტიანული რელიგიის უნივერსალური ხასიათის წარმოჩენისთვისაც.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს, უპირველესად, წარმოადგენს ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ახლებური გააზრება, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღმერთთან არსებითი მიმართების პოსტულატს. ავგუსტინეს მრავალრიცხოვანი ნაშრომების დეტალური აღწერის საფუძველზე წარმოდგენილი კონცეფციები აქ ერთ მიმართულებაშია თავმოყრილი, რომელსაც ქმნილების შემოქმედთან სპეციფიკური დამოკიდებულება განსაზღვრავს. ადამიანი, რამდენადაც იგი ღმერთის ქმნილებაა, არსებითად ატარებს თავის შემოქმედთან დამოკიდებულებას და თავისი არსის რეალიზებას სწორედ მასთან მიმართებით ახდენს. მოცემულ სადოქტორო ნაშრომში ეს ნაჩვენებია ადამიანის იმგვარ არსებით მახასიათებელთა მეშვეობით, როგორცაა აზროვნება, თავისუფალი ნება, სიყვარული, ბედნიერების კატეგორია და სხვ. ამგვარად, ავგუსტინეს მრავალრიცხოვან ნაშრომებში წარმოდგენილი სხვადასხვა პერიოდის არცთუ ისე ერთგვაროვანი კონცეფციები წარმოდგენილ სადოქტორო კვლევაში განხილულია ერთ სიბრტყეზე.

გარდა ამისა, ნაშრომში ახლებური კუთხით არის დანახული ავგუსტინეს ანთროპოლოგიის ერთი ასპექტი, რომელსაც „ადამიანის ბიოგრაფია, როგორც ანთროპოლოგიური კატეგორია“ ვუწოდებთ. აქ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ავგუსტინეს ცნობილი „აღსარებანის“, ასევე, სხვა ნაშრომების ორიგინალური ანალიზი, რომლის საფუძველზეც ადამიანი წარმოდგენილია იმ კონკრეტული დროის მონაკვეთში განფენილ დინამიურ არსებად, რომლის საფუძველზეც ხდება მისი ჩამოყალიბება მარადიულობისთვის. დროში განფენილი ადამიანის ცხოვრება შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც კონკრეტული მოცემულობა, რასაც შეგვიძლია მისი ბიოგრაფია ვუწოდოთ. ეს კატეგორია დამახასიათებელია ყოველი ადამიანისთვის, რამდენადაც ადამიანს უწევს დროში, მატერიალურ სამყაროში ცხოვრება.

ასევე, სიახლეს წარმოადგენს ავგუსტინეს ანთროპოლოგიის საფუძველზე ქრისტიანული მსოფლხედვის მუდმივი აქტუალობის სპეციფიკური ფორმით წარმოჩენაც, აქ ქრისტიანობა უნივერსალურ რელიგიად გვევლინება. რელიგიის უნივერსალურობას ესაჭიროება ისეთი საზომი, რომელიც თანაბრადაა განაწილებული ყოველ ადამიანში. ამის საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილია ზოგადადამიანური კატეგორიები, რომლებიც ქრისტიანულ სწავლებასთან არიან კავშირში. ამგვარად, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ავგუსტინეს ანთროპოლოგია ცდილობს ქრისტიანული მოძღვრების სხვადასხვა კერძო ასპექტების გააბსოლუტებას და მათთვის საზოგადო შინაარსის მინიჭებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომში ღმერთის არსებობის ე. წ. „ანთროპოლოგიური არგუმენტის“ ფორმირებაც. ჩვენს კვლევაში შევეცადეთ იმის ჩვენებას, რომ შუა საუკუნეებში არსებული არაერთი მტკიცებულება ღმერთის არსებობისა, როგორებიცაა კოსმოლოგიური, ტელეოლოგიური, ონტოლოგიური, ცნობიერებაზე დაფუძნებული და სხვა ტიპის არგუმენტები დასაყრდენს სწორედ ავგუსტინეს აზროვნებაში პოულობს. ამის გათვალისწინებით შევეცადეთ რამდენიმე ტიპის არგუმენტის გაერთიანებას ავგუსტინეს ანთროპოლოგიის საფუძველზე. ავგუსტინესთან ადამიანის არაერთი თავისებურებაა მიმთითებელი ღმერთზე. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი მთლიანობაში, თავისი არსით, მეტყველებს თავის შემოქმედზე. ეს გამოიხატება როგორც მის უნარებში, ისე ფიზიკურ აგებულებაშიც კი. თუმცა, უპირველესად, უნდა აღინიშნოს ადამიანის, როგორც ინდივიდის მიზნობრივი დამოკიდებულება ღმერთისადმი. ყოველივე ეს ადამიანს მთლიანობაში, როგორც ასეთს, ღმერთის არსებობის მტკიცებულებად წარმოაჩენს, რაც ავგუსტინეს ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას კიდევ უფრო მეტ აქტუალობას ანიჭებს.

დასკვნა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ავგუსტინეს მრავალფეროვანი ნააზრევიდან ანთროპოლოგიური სისტემის ახლებურად გააზრების მცდელობას წარმოადგენს. დისერტაციაში დასმული აქცენტებიდან გამომდინარე, აქ ავგუსტინეს მთელი ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს მხარეებსაც ექცევა სათანადო ყურადღება. სადოქტორო ნაშრომი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ თვალი გავადევნოთ ნეტარი ავგუსტინეს შემოქმედების მთელ ხანგრძლივ პერიოდს და გამოვკვეთოთ ის თავისებურებები, რომლებიც ჰიპონის ეპისკოპოსის აზროვნების განვითარებას ახლდა თან. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში განხილული საკითხები მხოლოდ ნეტარი ავგუსტინეს აქტუალობას კი არ უსვამს ხაზს ფილოსოფიის მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე, არამედ ახდენს ზოგადად ქრისტიანული ფილოსოფიის საწყისისეული ფორმის მნიშვნელობის წარმოჩენასაც თანამედროვე ეპოქაში. ვფიქრობთ, რომ მოცემული სადოქტორო ნაშრომი არის ქრისტიანული ანთროპოლოგიის, ქრისტიანული ფილოსოფიის ამ ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული მიმართულების თანამედროვე ფილოსოფიის კონტექსტში რეაქტუალიზების ერთ-ერთი მცდელობა. ამასთანავე, ნაშრომი პირდაპირ თუ ირიბად ეხება ანტიკურობის, შუა საუკუნეების, ახალი დროისა და თანამედროვეობის მნიშვნელოვან ანთროპოლოგიურ პრობლემებს. ამდენად, ეს სადოქტორო ნაშრომი სასარგებლო იქნება როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ისე ზოგადფილოსოფიური პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Nikoloz Kopaleishvili

Philosophical Anthropology of St. Augustine

Educational program: Christian Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Summary

Poti
2022

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Scientific supervisor: **Tengiz Iremadze**
Doctor of Philosophy, Professor

The date of the dissertation will be updated at website: www.ngu.edu.ge

The defense of the dissertation will take place at the Faculty of Humanities and Social Sciences of New Georgian University, at a session of the Dissertation Committee.

The dissertation is available at the library of New Georgian University (Poti, Guria str. № 1).

Contents

Research problem and its actuality _____	20
The aim of the research _____	22
Research objectives _____	23
Research hypothesis _____	24
Review of scientific literature and the theoretical context of research _____	24
Methodology _____	25
Description of PhD research findings _____	26
Scientific novelty _____	27
Conclusion _____	28

Research problem and its actuality

In the history of philosophy, St. Augustine of Hippo occupies a distinguished position, as one of the most influential and significant thinkers. In his works one clearly sees the reception and transformation of ancient wisdom, more concretely, the syntheses of Greek philosophy and Christian doctrines; on the other hand, the ranges of different traditions that fall under Augustinian influence are wide. On the basis of such evaluation, St. Augustine might be considered a paradigmatic author of Western philosophy, the thinker who unites the past and future tendencies of thought. His philosophical work assimilates many aspects, details, and features of late antiquity. In addition, St. Augustine's philosophy was developing among different philosophical schools and religious traditions. In order to demonstrate the wide range of his thinking, it will be enough to mention only a few of them (namely Platonism, Aristotelianism, the Philosophy of Cicero, skepticism, Manichaeism, Pelagianism, and Donatism).

St. Augustine is an important thinker for the whole Christian world; this statement is confirmed by the fact that the fifth ecumenical council of Constantinople acknowledged him as an authoritative father of the church. In the council documents one finds St. Augustine's name along with Basil the Great, Gregory the Theologian, Athanasius the Great and other key thinkers of the Christian church. As a result, St. Augustine's thought is relevant for all Christian world, despite even the East–West Schism of 1054. Furthermore, Christian religion had and has an important role and vital actuality in the development of general philosophical thought of mankind; for that reason, St. Augustine's philosophy and its Christian values, among philosophical studies, is still the subject of great interest.

In the works of St. Augustine one clearly sees the interpretations of distinguished ancient authors, thinkers such as Pythagoras, Plato, Aristotle, Plotinus, Porphyry and others. Thereby, the object of special interest is an Augustinian interpretation and study of ancient philosophy. In some cases, one can see him as a historian of ancient philosophy. Due to the period of his life, one can say, that St. Augustine's thought is the crossroad that differentiates ancient and Middle Ages, at the same time he is a thinker who evaluates ancient thoughts from a Christian point of view.

In addition to that, St. Augustine is an architect of a new age. It would not be exaggerated to call him a founding father of Christian philosophy. The Medieval thinkers such as Anselm of Canterbury, Thomas Aquinas, John Duns Scotus, and others, fell under his influences. In addition to that, St. Augustine's figure played the crucial role for developing modern philosophy. Mentioning only Rene Descartes and Immanuel Kant would be enough. He has also influenced modern thinkers such as Søren Kierkegaard and Ludwig Wittgenstein. In the twenty century, Martin Heidegger and others from his school paid a huge attention to St. Augustine's philosophy (especially in the cases of religious research). One should also note the reception of Augustinian philosophy in twenty-first-century Christian thinkers (Alvin Plantinga, Richard Swinburne and others).

In St. Augustine's work anthropological conception has an important place. It is necessarily to consider the character of St. Augustine's Christian thought, and particularly the nature of anthropology, the central category of his philosophy, were man is presented as the crown of God's Creation. This category unites different Augustinian concepts. As a result, a study of St. Augustine's anthropology provides an opportunity to comprehend the essential aspects of his philosophy. At the same time, examining Augustinian conception is an important key that enables us to understand the anthropological theories of ancient philosophy and to analyze more recent anthropological works that developed in the Western world. Hence, the study of Augustinian anthropology opens a way to comprehend many aspects of European philosophy. The present PhD research attempts to show Augustinian anthropology in a way that allows one to realize a contemporary relevance of his anthropological categories. The issues, that we are concentrated on, relate to human characteristics that are eternally visible. Despite differences between various stages in which man develops its nature as a rational and free creature, and as a individual who relates to others humans as well, the human being is the same in every epoch. This is the initial thesis of this study.

Considering all that, the present PhD research unfolds the essence of the Christian religion and shows the key principles of its philosophy. Alongside that, the actuality of the PhD research is determined by a concrete subpart of St. Augustine's philosophy, namely anthropology. Anthropology is a field that did not lose its importance. Generally speaking, philosophy is a way of human life, and the primary focus of philosophy is practical activity of man.

Anthropology as a doctrine about human being will be vital as long as man and philosophy will live. Hence, the research on St. Augustine's philosophical anthropology is exceptionally interesting and urgent.

The aim of the research

The aim of PhD research is to examine an anthropological doctrine that one can find in the philosophical heritage of St. Augustine. His philosophical works are thematically manifold, furthermore, time to time the same issues are solved in different ways. On such a basis, one can differentiate several stages of the development of his philosophy. For example, Augustine's early writings are full with the elements of Platonic philosophy, thus this period of his work constitutes a Christian Platonism. The next stage the development is strictly dogmatic. In this regard, one of his later work *Retractationes* is especially interesting, since by it St. Augustine summarizes his whole philosophy and attempts to clarify several crucial themes. By referring such attempt, we can say that St. Augustine himself acknowledged the ambiguity that is visible in his works. Despite the short remarks that we find in *Retractationes*, the book itself might be considered as an evaluation of St. Augustine's whole creative work, and at the same time the project that aims to give some final solutions on various important problems that concern human existence. It seems that St. Augustine himself felt that his work belongs to several authors, rather than an author. Metaphorically speaking it is legitimate to say that St. Augustine's great philosophical heritage belongs to "several authors" or "several Augustines". This particular aspect makes it hard to perceive his work in a single vision. Nonetheless, St. Augustine's anthropology enables one to unite different stages of the development of his philosophical work under one conception.

In this PhD research, there is an attempt to differentiate anthropological aspects of St. Augustine's works that equally apply to every stage of their development. In relation to this issue, one relies on the conception according to which man is a God's creation, since the cornerstone of Augustine's anthropology is the Biblical story of man's creation. As a result, the relationship between creator and created is the principle that enables to unify different theories of St. Augustine, even issues concerning the human

freedom. In addition to that, St. Augustine considers man as an essence that is unchangeable in the course of history (the incarnation of Jesus Christ is certainly a historical exception and that exception gives the whole specter of possibilities that were lost after the fall of man). The anthropological conception of St. Augustine aims to found a universal model, that will not lose its actuality along with historical flux. On such a basis, the study attempts to show the contemporary importance of the above-mentioned conception.

Therefore, PhD research aims to analyze and interpret Augustine's manifold anthropological categories to comprehend the "Anthropological constants" of St. Augustine's philosophy, and clearly demonstrates the different stages of its development. In addition, the aim of the present doctoral research is to present the importance of the Augustinian teaching about man in contemporary context, which also shows the special role of Christian teaching in the light of the most acute challenges of modern man.

Research objectives

For fulfilling the initial aim of PhD research, the following tasks were targeted: 1. first and foremost, we studied and analyzed the complex works of St. Augustine and emphasized anthropological ideas in them, after that, his works were classified in a way, that formed an unified model of Augustinian anthropology. 2. We presented the main sources of Augustine's influences, and by that, detected many important details of his anthropology. 3. We interpreted and further reconsidered St. Augustine's anthropology and by that systematically presented his philosophy. 4. Parallel to this, we extensively studied the scientific literature that is dedicated to Augustinian philosophy. Since the scientific literature is numerous and manifold, we chose a more recent authoritative studies that are dedicated to his philosophy in general and anthropology in particular. After fulfilling the above-mentioned tasks, we reached the specific character of St. Augustine's anthropology that was interpreted on the bases of elaborated hypothesis.

Research hypothesis

Analysis of Augustinian anthropology shows that for St. Augustine human being possesses various essential characteristics/faculties/qualities, and all those essential properties are unified in relation to the creator, God. In the last resort, human's every activity and property might be reduced to the relationship between God and man; as well as the dependence of man on God. The essential moment of man's life is to regain close connection with God. Generally speaking, created manifests its creator, but in the case of man, this interaction is far more complex and manifold. Human beings have a specific relationship with God, and this kind of relationship is unique. love is a good example of such a connection. We can call it "a conscious relation". Again, every creature manifests creator, but in the case of man we are witnessing a conscious activity. A man has being, life, and intellect and by means of these three elements, it relates to God. For that reason, the meaning of man, as an anthropological category, is connected to the creator. It is the only high relation with God that enables human being to fulfill its nature as a creation. It seems that there are two essences inside a man, first a man as such, and the second its creator, God. This Augustinian conception might be taken as the foundation of a specific type of existentialism; a thesis according to which man's essence is formed by relationship. As such, we discuss St. Augustine's anthropological model which presents man as a creation who relates to God. Man alone is not isolated essence, it carries a specific connection with God.

Review of scientific literature and the theoretical context of research

There are many different scientific researches that are dedicated to the work of st. Augustine. There are several translations of his works that are originally written in Latin (many translated resources are accessible through various internet resources). In addition to that, St. Augustine's works are translated into many different languages. Among them, should be mentioned English, German, French, Italian and Russian translations. His works are partly translated into the Georgian language.

Concerning the scientific study of St. Augustine's works, various researches are made on almost every language. Due to the wide range of his thought, scientific studies are diversified in to different philosophical disciplines (such as ontology, epistemology, ethics, and etc.,). To be certain, there are anthropological researches too, nonetheless, it should be noted, that in most cases, different scientific projects examine only several anthropological issues, rather than a holistic anthropological paradigm of St. Augustine. In order to unfold and unite manifold aspects of his philosophical anthropology, it is also important to review various theological and psychological researches that are dedicated to St. Augustine's Christian philosophy.

Concerning Georgian researches of St. Augustine's work, several distinguished studies can be mentioned. In this regard, one should note a special publication of New Georgian University: *St. Augustine – Teacher of Christianity*, edited by T. Iremadze, Tbilisi: "Favorite Style", 2010, 252 pp. This collection also examines Augustinian anthropology. At the same time, it is necessarily to mention number of Georgian works that are dedicated to the philosophy of the middle ages. Above-mentioned works demand attention because they include various aspects of St. Augustine's thought.

PhD research pays a special attention to those scientific researches, that examine Augustinian anthropology, and more concretely, that are dedicated on the issue of the harmonious and teleological relationship between man and creator. That kind of relationship might be called "teleological anthropology". Those scientific works are focused on man's function in relation to God. On the basis of the above-mentioned studies problematics of this research were formed and elaborated.

Methodology

PhD Research is developed by using several different methodological tools, including hermeneutical analysis, interdisciplinary study, comparative, historical, and other kinds of approaches. In most of the cases, philosophical hermeneutics is used in order to analyze immanent meanings of St. Augustine's original texts, and by such methodology, the research separates the holistic model of St. Augustine's manifold philosophical writings. Besides,

we also developed an original interpretation of his philosophy, such interpretation gives a possibility of unifying different anthropological thoughts under one conceptual framework. In addition to that, PhD research offers a survey of various Christian ideas, in the context of Christian psychology and theology. That aspect emphasizes the interdisciplinary direction of PhD research. The comparativist analysis has to be mentioned also; in relation to St. Augustine's philosophy several different authors are discussed, more concretely his Predecessors (Plato, Plotinus, and etc.,) and successors (Descartes, Kant), as well as other representatives of Christian tradition. On the basis of the contemporary reception and developments of St. Augustine's work, one can also speak about the historical method, which is used in this research.

Description of PhD research findings

The research allows to comprehend Augustinian anthropology, as well as to see the main categories, that are implicitly pressured by his philosophy. The research is developed in different directions, more concretely, it examines his exegetical writings, the works of his early Platonic period, and the later dogmatic developments of his philosophy. By such examination, one can legitimately speak about different angles of Augustinian philosophy. First and foremost, the PhD research shows the importance of Augustinian anthropology, as a complex phenomenon that belongs to the history of Christian philosophy. The unification of the Christian doctrine of revelation and classical philosophical concepts, enables us to comprehend the essence of Christian philosophy. On the other hand, Christian anthropology, as it is presented in the works of St. Augustine, offers so-called "anthropological constants". Despite historical contexts, cultural belongings, and various developments, those constants retain their actuality and represent "eternal" characteristics of man. Furthermore, they are philosophically verified parts of Christian doctrine. As a result, PhD research presents the historical importance of Christian doctrine, including the contemporary context; and by our interpretation of Augustinian anthropology, research shows the universal character of the Christian religion.

Scientific novelty

First of all, the scientific novelty of PhD research is a new interpretation of Augustinian anthropology, such interpretation is developed upon the statement that assumes the essential relatedness of man and God. In this case, by describing various details of his work, thesis presents the concepts that define a specific relationship of God and man. Man, as a God's creation, possess a tendency of god-seeking, and realizes its essence with relation to creator. In the present research, this statement is manifested by showing various characteristics of man, such as reasoning, free will, love, happiness, and etc. As a result, St. Augustine's different and in some sense ambiguous theories are united under one conception.

In addition to that, a new aspect of his anthropology is presented, which we called "man's biography, as an anthropological category". The source of such interpretation comes from an original analysis of his famous work "confessions", as well as other writings. Those writings show that man is a dynamic being who is located in a concrete period of time, and that temporary existence constitutes its character for eternity. Time located existence might be understood as a concrete condition, and can be called a biography. Every man has such a category, since human existence presupposes a temporal flux of material reality.

Also, on the basis of St. Augustine's anthropology, the thesis demonstrates that the Christian religion has eternal actuality. In this case, Christianity is presented as a universal religion, and a universal religion ought to have traits that can be see in every bieng. We present general human categories that are related to the Christian doctrines and thus show that Augustinian anthropology absolutizes concrete aspects of Christianity and gives the general features to it.

Finally, the formulation of so-called "anthropological argument" of God's existence should be noted. The thesis shows that various arguments of God's existence, such as cosmological, teleological, ontological, and other kinds of proofs, have their root in St. Augustine's works. As such, on the basis of his anthropology, we unified several different arguments. Many aspects of human being outspcak of God. Furthermore, we could say that men as such speak about its creator. This statement is presented in different abilities, and

physical body that human being possesses. Nonetheless, it is very important to note man's teleological dependence on God. Above-mentioned aspects give us arguments of God's existence, and those statements give additional actuality to St. Augustine's anthropology.

Conclusion

The PhD research offers a new understanding of St. Augustine's anthropology, which is based on his manifold philosophy. Due to the research character, specific attention was paid to other important parts of St. Augustine's philosophy. PhD research enables us to survey the development of the whole Augustinian philosophy and to mark those important aspects that were parts of his philosophical development. Along with that, we think that the thematic content of the PhD research shows not only the historical contribution of Augustinian philosophy, but also its vital present importance. By such result, early Christian philosophy is presented in the context of the contemporary world. We believe that the PhD research is an attempt to actualize Christian anthropology, one of the earliest and traditional developments of Christian thought. In addition to that, the work relates to the important anthropological problems of ancient, medieval, modern, and contemporary philosophy. As a result, the PhD research is beneficial for the readers interested in Christian worldview and those interested in general developments of philosophy.